საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 29/00 „24" ოქტომბერი 2011 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

თორნიკე შერმადინი

„24" 10 2011 წელი

ეგზ. N2

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური
და შესაბამისობის აუდიტის აქტი
(01/01/2010-31/12/2010)

ფინანსური ანგარიშგებები

დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება 3
საბალანსო ანგარიშგება 4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 5

ფინანსური ანგარიშგებების განმარტებები

1. ძირითადი საქმიანობა 7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები 8
3. ბიუჯეტის დაგეგმვა 8
4. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება 12
4.1 შეუსაბამობები ბიუჯეტის დამტკიცებულ, დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის 12
4.2 შრომის ანაზღაურება 13
4.3 მივლინებები 15
4.4 ოფისის ხარჯები 15
4.5 ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები 16
4.6 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 16
4.7 სხვა ხარჯები 17
4.8 არაფინანსური აქტივების ზრდა 17
4.9 ვალდებულებების კლება 19
5. საბალანსო ანგარიშგება 19
5.1 ფული და ფულის ექვივალენტები 19
5.2 დებიტორული დავალიანება 19
5.3 არაფინანსური აქტივები 19
5.4 ფინანსური ვალდებულებები 20
5.5 კრედიტორული დავალიანება 20
5.6 საცნობარო მუხლები 22
6. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 22
6.1 წმინდა ღირებულება 22
6.2 გაუნაწილებელი მოგება 24
7. სხვა განმარტებები 24

დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება

2010 წელი

(ათას ლარებში)

	განმარტება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი
შრომის ანაზღაურება	4.2	23,669.60	23,656.10	23,655.50
საქონელი და მომსახურება		19,139.50	18,251.99	17,245.70
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		-	1,563.67	1,557.10
მივლინება	4.3	-	328.10	328.20
ოფისის ხარჯები	4.4	-	3,425.00	3,155.80
წარმომადგენლობითი ხარჯები		-	93.20	100.20
კვების ხარჯები		-	29.70	14.80
სამედიცინო ხარჯები		-	6.10	5.90
რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენა		-	4.52	0.30
ტრანსპ. და ტექნიკის ექსპლოატაცია	4.5	-	1,124.10	1,455.70
სხვა დანარჩენი საქონ. და მომსახურება	4.6	-	11,677.50	10,627.50
სუბსიდიები		4.70	4.70	22.30
სოციალური უზრუნველყოფა		211.50	197.40	197.40
სხვა ხარჯები	4.7	713.10	696.10	696.10
ძირითადი კაპიტალის მოხმარება		0.00	0.00	3,619.20
სულ ხარჯები		**43,738.40**	**42,806.29**	**45,436.20**
არაფინანსური აქტივების ზრდა	4.8	15,143.70	15,118.80	0.00
ვალდებულებების კლება	4.9	36.50	36.50	0.00
სულ გადასახდელები		**58,918.60**	**57,961.59**	**45,436.20**

საბალანსო ანგარიშგება

2010 წლის 31 დეკემბერი

(ათას ლარებში)

	განმარტება	31/12/2010	31/12/2009
აქტივები			
ფინასური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5.1	140,914.50	70,318.40
დებიტორული დავალიანებები	5.2	11,590.70	9,098.80
სულ ფინანსური აქტივები		**152,505.20**	**79,417.20**
არაფინანსური აქტივები			
ძირითადი აქტივები	5.3	115,184.50	69,696.10
სხვა მატერიალური მარაგები	5.3	8,824.20	4,445.00
სულ არაფინანსური აქტივები		**124,008.80**	**74,141.10**
სულ აქტივები		**276,514.00**	**153,558.30**
ვალდებულებები და კაპიტალი			
ფინანსური ვალდებულებები	5.4	114,516.70	456.40
კრედიტორული დავალიანებები	5.5	4,562.10	4,377.10
კაპიტალი		157,435.20	148,724.80
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**276,514.00**	**153,558.30**
საცნობარო მუხლები			
საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები	5.6	0.80	-
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექპლოატაციაში	5.6	7,791.00	312.80
პირობითი მოთხოვნები	5.6	3,228.90	-
ვადაგადაცილებული დავალიანებები	5.6	4,562.10	-

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2010 წლის 31 დეკემბერი

(ათას ლარებში)

	განმარტება	
სულ წმინდა ღირებულება 31/12/2009	6.1	**69,114.90**
ზრდა:		
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება		57,925.00
გრანტები		663.9
სხვა შემოსავლები		792.2
უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი აქტივები		11,054.50
უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური მარაგები		1,219.90
უსასყიდლოდ მიღებული არაწარმოებული აქტივები		19601.3
სხვა ეკონომიკური ნაკადები		20520
სულ წმინდა ღირებულების ზრდა		**111,776.80**
შემცირება:		
ხარჯები		(47,628.60)
უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადიაქტივები		(5,251.10)
უსასყიდლოდ გადაცემული მატერიალური მარაგები		(1,186.7)
უსასყიდლოდ გადაცემული არაწარმოებული აქტივები		(313.5)
სხვა ეკონომიკური ნაკადები		(19,436.2)
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები		(473.8)
სულ წმინდა ღირებულების შემცირება		**(74,289.90)**
წმინდა ღირებულების ნაზრდი		**37,486.90**
სულ წმინდა ღირებულება 31/12/2010	6.1	**106,601.80**
სულ გაუნაწილებელი მოგება 31/12/2010	6.2	**50,833.40**
სულ კაპიტალი 31/12/2010		**157,435.20**

შესავალი

აუდიტის საფუძველი	საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 18 თებერვლის N13/43 ბრძანება
აუდიტის ვადა	2011 წლის 21 თებერვლიდან 2011 წლის 20 აპრილამდე

შემოკლებანი

სამინისტრო	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წლიური საბიუჯეტო კანონი	საქართველოს კანონი „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

1. ძირითადი საქმიანობა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომლის მმართველობის სფერო, ამოცანები და უფლებამოსილებანი განსაზღვრულია ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის N 541 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით.

სამინისტროს მმართველობის ძირითადი სფეროებია:

- სამართალშემოქმედება და ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა, სისტემატიზაცია და სახელმწიფო რეგისტრაცია;
- კანონით დადგენილ შემთხვევებში სახელმწიფო ვალის აღებასთან, კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა საქართველოს კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, ასევე სახელმწიფო ვალის აღების და კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის შესახებ ხელშეკრულებათა, აგრეთვე საერთაშორისო საგრანტო ხელშეკრულებათა დადებასთან დაკავშირებული პროცედურების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შესრულების დადასტურება;
- არბიტრაჟებში ან უცხო ქვეყნის სასამართლოში სახელმწიფო წარმომადგენლობა ან/და სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფის კოორდინაცია;
- სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და კანონით აღსრულებას დაქვემდებარებული სხვა აქტების აღსრულების უზრუნველყოფა;
- სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია, საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა პირადობის დადასტურება, საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემა და ამ სფეროში კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების განხორციელება;
- კანონმდებლობის შესაბამისად ნოტარიატის საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება;
- სახელმწიფო საარქივო საქმიანობის განხორციელება;
- კანონით განსაზღვრული სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;
- სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობა;
- სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მხარის სტატუსით მონაწილეობა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სფეროები.

სამინისტროს სისტემაში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა საქართველოს პროკურატურა.

1. ძირითადი საქმიანობა (გაგრძელება)

აუდიტის პერიოდში სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებია:

ა) საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
ბ) საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
გ) საქართველოს ნოტარიუსთა პალატა
დ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ე) სამოქალაქო რეესტრის სააგენტო
ვ) საქართველოს ეროვნული არქივი
ზ) აღსრულების ეროვნული ბიურო
თ) მონაცემთა გაცვლის სააგენტო

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

სამინისტროს მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“

- ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება

3. ბიუჯეტის დაგეგმვა

,,საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 11 ივნისის N108 დადგენილებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობები 2010 წლისათვის განისაზღვრა 1,146 ერთეულით და 44,000 ათასი ლარით.

2010-2013 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო განაცხადი იუსტიციის სამინისტროს მიერ ფინანსთა სამინისტროში წარდგენილია ,,საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, 2009 წლის 14 აგვისტოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ზღვრული მოცულობის ფარგლებში.

3. ბიუჯეტის დაგეგმვა (გაგრძელება)

სამინისტროს 2010 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტში 1 იანვრიდან ცალკე ორგანიზაციული კოდით გათვალისწინებული იქნა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო 11 საშტატო ერთეულით და 690.0 ათასი ლარის ასიგნებით.

წლიურ საბიუჯეტო კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 47,594.3 ათასი ლარი, საიდანაც 2,294.3 ათასი ლარი კრედიტებისა და გრანტების სახით გამოყოფილ დაფინანსებას წარმოადგენს (მ.შ სსიპ-სამოქალაქო რეესტის სააგენტოს-2,149.4 ათასი და სსიპ-იუსტიციის სასწავლო ცენტრს-144.9 ათასი ლარი).

			ბოლო ცვლილება		
	დამტკიც. გეგმა	I და II ცვლილება	საბიუჯ. სახსრებით	კრედიტ. და გრანტები	სულ
იუსტიციის სამინისტრო - სულ	**45,300.00**	**45,300.00**	**45,300.00**	**2,294.30**	**47,594.30**
აპარატი	**19,939.20**	**20,359.20**	**20,478.00**	**0**	**20,478.00**
საქართველოს პროკურატურა	**18,070.00**	**17,650.00**	**16,081.20**	**0**	**16,081.20**
სსიპ-ები:	**7,290.80**	**7,290.80**	**9,420.80**	**2294.3**	**11,035.10**
საქ. საკანონმდებლო მაცნე	190	190	310	0	310
აღსრულების ეროვნული ბიურო	2,458.80	2,458.80	2,458.80	0	2,458.80
ეროვნული არქივი	3,490.00	3,490.00	3,740.00	0	3,740.00
საჯარო რეესტრის სააგენტო	1	1	1	0	1
სამოქალაქო რეესტრის სააგენტო	1	1	1,001.00	2,149.40	3,150.40
იუსტიციის სასწავლო ცენტრი	460	460	540	144.9	684.9
მონაცემთა გაცვლის სააგენტო	690	690	690	0	690

გარდა აღნიშნულისა, სამინისტროს წლიური საბიუჯეტო ასიგნებები დაზუსტდა და გაიზარდა 11,324.3 ათასი ლარით. მათ შორის:

- საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებებით - 11,184.6 ათასი ლარის ოდენობით. აქედან, 3,314.6 ათასი ლარი-რუსეთის წინააღმდეგ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს ინტერესების დასაცავად იურიდიული მომსახურების შესყიდვის მიზნით, საიდანაც აუთვისებელი 3.2 ათასი ლარი აღდგენილია მთავრობის სარეზერვო ფონდში; 6,183.8 ათასი ლარი-საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფისა და მისი ინტერესების დაცვის მიზნით საადვოკატო მომსახურების შესასყიდად; 1,671.2 ათასი ლარი- კომპანია „Itera International Energy LLC და Itera Group NV"-ის მიერ საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრში (ICSID) საარბიტრაჟო სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით და 15.0 ათასი ლარი-სამინისტროს საერთაშორისო კერძო

3. ბიუჯეტის დაგეგმვა (გაგრძელება)

სამართლის დეპარტამენტის თანამშრომლის საერთაშორისო იურიდიული კომპანია-"White & Case"-ში სტაჟირების გავლასთან დაკავშირებით, უცხოეთში მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯების დაფინანსების მიზნით, საიდანაც აუთვისებელი 2.3 ათასი ლარი აღდგენილია მთავრობის სარეზერვო ფონდში. აღნიშნული ასიგნებები აისახა „საქონელი და მომსახურების" მუხლში.

- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან - 135.2 ათასი ლარი: ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2009 წელს წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად - 33.4 ათასი ლარის, ხოლო 2010 წელს „სხვა ხარჯების მუხლით" - 101.8 ათასი ლარის ოდენობით.

- საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან - 2010 წლის მე-3 რეგიონალური კონფერენციის-ინფორმაციული ტექნოლოგიების ინოვაციების (Georgia IT Innovation-GITI) ორგანიზების მიზნით, სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთვის - „საქონელი და მომსახურების" მუხლით 10.0 ათასი ლარით.

შედეგად, სამინისტროს 2010 წლის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 58,918.6 ათასი ლარი:

(ათას ლარებში)

	დამტკიცებული გეგმა			დაზუსტებული გეგმა		
	საბიუჯეტო სახსრები	კრედიტები და გრანტები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	კრედიტები და გრანტები	სულ
იუსტიციის სამინისტრო	***45,300.00***	***2,294.30***	***47,594.30***	***56,624.30***	***2,294.30***	***58,918.60***
შრომის ანაზღაურება	24,051.50	16.4	24,067.90	23,653.20	16.4	23,669.60
საქონელი და მომსახურება	6,568.20	1,909.90	8,478.10	17,229.60	1,909.90	19,139.50
სუბსიდიები	-	4.7	4.7	-	4.7	4.7
სოც.უზრუნველყოფა	114.6	-	114.6	211.5	-	211.5
სხვა ხარჯები	672	-	672	713.1	-	713.1
არაფინ.აქტ-ის ზრდა	13,893.70	363.3	14,257.00	14,780.40	363.3	15,143.70
ვალდებულებების კლება	-	-	-	36.5	-	36.5
იუსტ.სამინისტრო-აპარატი	**20,478.00**	-	**20,478.00**	31,247.30	-	**31,247.30**
შრომის ანაზღაურება	4,233.00	-	4,233.00	4,078.00	-	4,078.00
საქონელი და მომსახურება	4,309.50	-	4,309.50	15,081.60	-	15,081.60
სოც.უზრუნველყოფა	60	-	60	127.5	-	127.5
სხვა ხარჯები	52	-	52	145.8	-	145.8
არაფინ.აქტ-ის ზრდა	11,823.50	-	11,823.50	11,777.90	-	11,777.90
ვალდებულებების კლება	-	-	-	36.5	-	36.5

3. ბიუჯეტის დაგეგმვა (გაგრძელება)

	დამტკიცებული გეგმა			დაზუსტებული გეგმა		
	საბიუჯეტო სახსრები	კრედიტები და გრანტები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	კრედიტები და გრანტები	სულ
საქ.პროკურატურა	**16,081.20**	-	**16,081.20**	**15,981.20**	-	**15,981.20**
შრომის ანაზღაურება	14,141.20	-	14,141.20	14,141.20	-	14,141.20
საქონელი და მომსახურება	1,300.00	-	1,300.00	1,219.70	-	1,219.70
სოც.უზრუნველყოფა	30	-	30	63	-	63
სხვა ხარჯები	600	-	600	547.3	-	547.3
არაფინ.აქტ-ის ზრდა	10	-	10	10	-	10
სსიპ-ები: მ.შ	***8,740.80***	***2,294.30***	***11,035.10***	***9,395.80***	***2,294.30***	***11,690.10***
მონაცემთა გაცვლის სააგ-ტო	690	-	690	1280	-	1280

დაზუსტებული ასიგნებების ფარგლებში სამინისტროს მიერ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით განხორციელებულია, როგორც კვარტალური, ისე შიდამუხლობრივი და ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილება. სულ 2010 წლის მანძილზე წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ცვლილების 44 ცნობიდან 13 ეხება დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში როგორც მუხლობრივ, ასევე ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილებას - 1,152.2 ათასი ლარის ფარგლებში, რაც განხორციელებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით" დაწესებული ლიმიტის (5%) ფარგლებში. ცვლილებები შეეხო საბიუჯეტო კლასიფიკაციის ყველა მუხლს, რომელიც განხორციელდა სისტემაში არსებული ვაკანსიებიდან და ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე.

სულ გადანაწილებული ასიგნებებიდან 759.0 ათასი ლარის გადანაწილება (აქედან 741.6 ათასი ლარის წინანსწარი გადახდა) განაპირობა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ნოემბრის №1406 განკარგულების საფუძველზე თანხების მობილიზების საჭიროებამ. აღნიშნული განკარგულებით სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად გატარების მიზნით, სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ნება დაერთო ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით განეხორციელებინა მონაცემთა გაცვლის ინფრაქსტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებული მომსახურების და საქონლის შესყიდვა. ამ მიზნით სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და კომპანია HP (HEWLETT PACKARD INTERNATIONAL TRADE BV) შორის 21/12/2010 წელს გაფორმდა №72 ხელშეკრულება აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის, ლიცენზირების, მხარდაჭერისა და პროფესიული მომსახურების შესყიდვაზე, რომლის მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 7,233.2 ათას ლარს. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 18 თვე.

წლიურ საბიუჯეტო კანონში სამინისტროს აპარატის „საქონელი და მომსახურების" მუხლიდან გადანაწილება განხორციელებულია ოთხჯერ 407.0 ათასი ლარის ფარგლებში, მ.შ 76.0 ათასი ლარი არაფინანსურ აქტივებში (57.0 ათასი-ავეჯისა და საოფისე ინვენტარის შესაძენად,

3. ბიუჯეტის დაგეგმვა (გაგრძელება)

დასაბუთებაში არგუმენტად მოყვანილია, რომ „დაგეგმილი იყო მცირეფასიანი ავეჯისა და ინვენტარის შესყიდვა, ობიექტის მშენებლობის მიმდინარეობისას წარმოიქმნა 500 ლარს ზემოთ ღირებულების შესყიდვის აუცილებლობა", ხოლო 19.0 ათასი ლარი - „მანქანების ჩასანაცვლებლად"), მაშინ როცა „არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლიდან წლის ბოლოს გადატანილია 121.6 ათასი ლარი. მიუხედავად აღნიშნულისა, „საქონელი და მომსახურების" მუხლში წლის ბოლოს დაფიქსირდა 60.7 ათასი, ხოლო სულ სამინისტროს აპარატზე-71.5 ათასი ლარის ეკონომია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანით აპარატის „საქონელი და მომსახურების" მუხლიდან გადანაწილება განხორციელდა ოთხჯერ 517,2 ათასი ლარის ფარგლებში (სულ წლის განმავლობაში რვაჯერ-924.2 ათასი ლარი). გადანაწილების საფუძველი ძირითადად იგივეა. ასევე, კანონში ცვლილებების შეტანით „არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლზე დამატებულია (4-ჯერ) 1,376.0 ათასი ლარი - პროკურატურის „შრომის ანაზღაურების" მუხლის ხარჯზე 978.8 ათასი ლარი და აპარატის „საქონელი და მომსახურების" მუხლის ხარჯზე 397.2 ათასი ლარი.

ანალოგიურად, კანონში ცვლილებების შეტანით აპარატის „შრომის ანაზღაურების" მუხლიდან 320.0 ათასი ლარი გადატანილია სამოქალაქო რეესტრის „არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლში, ხოლო დამტკიცებულ ბიუჯეტში გადანაწილება განხორციელებულია ხუთჯერ 155.0 ათასი ლარის ფარგლებში (სულ წლის განმავლობაში ექვსჯერ-475.0 ათასი ლარი). ასევე, პროკურატურის „შრომის ანაზღაურების" მუხლიდან კანონში ცვლილებების შეტანით გადატანილია 1,908.8 ათასი ლარი (5-ჯერ) სხვადასხვა კოდზე.

2010 წლის განმავლობაში წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების გათვალისწინებით მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილება განხორციელებულია 4,283.1 ათასი ლარის ფარგლებში, რაც დაზუსტებული გეგმის 7.5 % შეადგენს.

4. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება

4.1 შეუსაბამობები ბიუჯეტის დამტკიცებულ, დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის

იუსტიციის სამინისტროსთვის 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილების შედეგად დაზუსტებული ასიგნებებისა (58,918.6 ათასი ლარი) და აღებული ვალდებულებების (58,025.8 ათასი ლარი) ფარგლებში 2010 წლის დაფინანსებამ 57,961.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2009 წლის დაფინანსებაზე 13,514.0 ათასი ლარით ნაკლებია.

აღნიშნული განპირობებულია იუსტიციის სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებებით: წინა წელთან შედარებით დაფინანსების შემცირება ძირითადად გამოწვეულია სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დაფინანსების 14

4. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება (გაგრძელება)

4.1 შეუსაბამობები ბიუჯეტის დამტკიცებულ, დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის (გაგრძელება)

მლნ-მდე შემცირებით, რომლის საკუთარმა შემოსავლებმა 2010 წლისათვის 28 მლნ. ლარი შეადგინა. 2010 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტომ, რომლის დაფინანსებამ 1,256.1 ათასი ლარი შეადგინა. 2009 წელს ანაზღაურებული იყო (წინა წლებში შესრულებული სამუშაოები-KFW) მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება - I და II პროექტების ფარგლებში გაწეული საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურებები 946.3 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, დაფინანსებული იყო ყოფილი მიწის მართვის დეპარტამენტის 50.0 ათასი ლარის სახელფასო დავალიანება.

აუდიტის პერიოდში სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი 8 სსიპ-დან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება მხოლოდ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, რომელიც დაფუძნებულია წევრობაზე.

დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის 30%-ზე მეტი შეუსაბამობა დაფიქსირდა სამინისტროს აპარატსა და სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტოთან მიმართებაში:

აპარატზე - 52.6 %, რაც გამოწვეულია საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო და დავალიანების დაფარვის ფონდებიდან თანხების გამოყოფით, ხოლო სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტოზე - 85.5%, რაც გამოწვეულია ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით სამინისტროს სისტემაში აუთვისებელი რესურსების ხარჯზე, დამატებითი ასიგნებების გამოყოფით.

დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა (15%-ზე მეტი) დაფიქსირდა სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოზე (100%), რაც გამოწვეულია სააგენტოს ხარჯების მთლიანად არასაბიუჯეტო სახსრებიდან დაფინანსებით და სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოზე (21.0%), რაც გამოწვეულია დონორებისაგან მიღებული გრანტის ნაწილობრივ ათვისებით - აუთვისებელი სახსრების გახარჯვა გრანტების ნაწილში განხორციელდება 2011 წელს, მათი ხელახალი გადამტკიცების გზით.

4.2 შრომის ანაზღაურება

<u>აპარატი</u> - დამტკიცებული გეგმის მიხედვით საშტატო რიცხოვნობა შეადგენდა 316 ერთეულს 4,078.0 ათასი ლარის ასიგნებით, ფაქტობრივად მომუშავეთა რიცხოვნობა კი საშუალოდ შეადგენს 180 ერთეულს (ვაკანსია საშუალოდ 136 ერთეული, დეკემბერში-154 ერთ). 2010 წელს გაწეული 4,072.0 ათასი ლარის ხარჯიდან (მთლიანი საკასო ხარჯების 13,1%) შტატით მომუშავეთათვის ხელფასი შეადგენდა 2,679.6 - ათას ლარს (65.8%), პრემია - 1,392.4 ათას ლარს (34.2%). პრემიის ხელფასთან თანაფარდობამ შეადგინა 52%, რომელიც პირველი ხუთი თვის განმავლობაში იცვლებოდა 39%-დან 42.8%-მდე, მომდევნო ექვს თვეში 48.1%-დან 55.3%-მდე, ხოლო დეკემბერში შეადგინა 115.3%, (უმაღლესი ხელფასი - 3,540 ლარი, უმცირესი ხელფასი - 690 ლარი).

4. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება (გაგრძელება)

4.2 შრომის ანაზღაურება (გაგრძელება)

შტატგარეშე მომუშავეთათვის (28 ერთ) გაწეულია 222.4 ათასი ლარის ხარჯი (ასახულია „საქონელი და მომსახურების მუხლში"). სოციალური დახმარება შეადგენს -124.3 ათას ლარს (ასახულია „სოც. უზრუნველყოფის" მუხლში).

პროკურატურა - გაწეული 14,134.4 ათასი ლარის ხარჯიდან (მთლიანი საკასო ხარჯის 89.4%), შტატით მომუშავეთათვის (საშტატო ნუსხით-830, ფაქტობრივად-703 ერთ,უმაღლესი ხელფასი - 3,910 ლარი, უმცირესი ხელფასი - 230 ლარი) ხელფასი შეადგენს 10,767.1 - ათას ლარს, პრემია-3,367.3 ათას ლარს, ხოლო 172.4 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია შტატგარეშე მოსამსახურეთათვის (24 ერთ), სოციალური დახმარება გაწეულია 59.3 ათასი ლარის ოდენობით.

სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტო - თანამდებობრივი სარგო-16.4 ათასი ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება-1,073.4 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯები ანაზღაურებულია საგრანტო თანხებიდან.

სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი - თანამდებობრივი სარგო - 2,283.2 ათასი ლარი, პრემია-216.5 ათასი ლარი. (საშტატო ნუსხით 573 ერთ, ფაქტობრივად 450 ერთ, უმაღლესი ხელფასი 2950 ლარი, უმცირესი ხელფასი 150 ლარი). სოციალური დახმარება- 9.6 ათასი ლარი. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაწეულია არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან.

სსიპ-საკანონმდებლო მაცნე - თანამდებობრივი სარგო - 88.2 ათასი ლარი, პრემია- 99.6 ათასი ლარი. პრემიის მეტობა თანამდებობრივ სარგოზე უკავშირდება 2011 წლის 1 იანვრიდან ნორმატიული აქტების გამოქვეყნების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლას, რომლის (შემუშავებული პროექტის) განხორციელებაც უნდა დასრულებულიყო 2010 წლის 31 დეკემბერს. აღნიშნულთან დაკავშირებით 2009 წლის 29 დეკემბრის N240 საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისის სახით 2010 წლის საპრემიო ფონდი განისაზღვრა 238 ათასი ლარის ოდენობით. (საშტატო ნუსხით-42 ერთეული, ფაქტობრივად მომუშავე 36 ერთეული. უმაღლესი ხელფასი 2,500 ლარი, უმცირესი ხელფასი 460 ლარი).

სსიპ-იუსტიციის სასწავლო ცენტრი - თანამდებობრივი სარგო-101.7 ათასი ლარი (უმაღლესი ხელფასი 2,600 ლარი, უმცირესი ხელფასი 785 ლარი), პრემია -16.1 ათასი ლარი, შტატგარეშეთა ანაზღაურება-38.7 ათასი ლარი, საგრანტო თანხებიდან-6.6 ათასი ლარი.

სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიურო - თანამდებობრივი სარგო-2,280.0 ათასი ლარი (უმაღლესი ხელფასი 4,750 ლარი, უმცირესი ხელფასი 625 ლარი), პრემია და შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება გადახდილია არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან. სოციალური დახმარება - 4.2 ათასი ლარი.

4. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება (გაგრძელება)

4.2 შრომის ანაზღაურება (გაგრძელება)

სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტო - გაწეული 347.9 ათასი ლარის ხარჯიდან, შტატით მომუშავეთათვის ხელფასი შეადგენს 340.6 - ათას ლარს, (უმაღლესი ხელფასი 5,800 ლარი, უმცირესი ხელფასი 2500 ლარი). სოციალური დახმარება გაწეულია 59.3 ათასი ლარის ოდენობით.

4.3 მივლინებები

აპარატი - 2010 წელს მივლინებებზე ანაზღაურებულია 210.7 ათას ლარი (ქვეყნის შიგნით 51.7 ათასი, ქვეყნის ფარგლებს გარეთ 159.0 ათასი ლარი). აქედან, 37.0 ათასი ლარი წარმოადგენს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 15 თებერვლის N92 ბრძანების „სახაზინო სამსახურის მიერ ორგანიზაციების სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ანგარიშის გახსნისა და კორპორაციული ბარათების დამზადების თაობაზე" საფუძველზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის და მინისტრის პირველი მოადგილის სახელზე სს „საქართველოს ბანკში" გახსნილ ანგარიშებზე სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების შესავსებად გადარიცხულ თანხებს, საიდანც 14.6 ათასი ლარი დაბრუნებულია დეკემბრის თვეში.

პროკურატურა - გაწეულია 91.4 ათას ლარის ხარჯი: ქვეყნის შიგნით-56.0 ათასი და ქვეყნის გარეთ-35.4 ათასი ლარი. ქვეყნის შიგნით მივლინებისას ხარჯების ანაზღაურება ხდებოდა მოსამსახურის მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ.

სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი - ანაზღაურებულია 21.7 ათასი ლარი. მათ შორის 10.5 ათასი ქვეყნის გარეთ და 11.2 ათასი ლარი ქვეყნის შიგნით. ხშირ შემთხვევებში მივლინებების ბრძანებებში არ იყო მითითებული საფუძველი (პასუხისმგებელი პირების განმარტებით მივლინების საფუძველს წამოადგენდა სიტყვიერი, ტელეფონის საშუალებით მოწოდებული ინფორმაცია), ასევე ადგილი ჰქონდა ბრძანებების გამოცემას თანამშომლის მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ. აღნიშნული დარღვევა-ნაკლოვანებები დარეგულირებულია 2010 წლის ოქტომბრის თვიდან.

4.4 ოფისის ხარჯები

აპარატი - 2010 წელს ოფისის ხარჯი შეადგენდა - 2,107.2 ათას ლარს. მათ შორის: შეძენილია 213.9 ათასი ლარი სატელეფონო ბარათები (საიდანაც დეკემბრის თვეში გაწეულია 52.4 ათასი ლარის ხარჯი), წლის დასაწყისში 14.6 ათასი ლარის ნაშთის გათვალისწინებით წლის ბოლოს სატელეფონო ბარათების ნაშთი შეადგენდა 23.9 ათას ლარს. კავშირგაბმულობის ხარჯები-151.8 ათასი ლარი, კომუნალური ხარჯი – 223.7 ათასი ლარი; ინტერნეტმომსახურება-90.5 ათასი ლარი, ჟურნალ-გაზეთები, საფოსტო, სამეურნეო, პოლიგრაფიული მომსახურება-356.9 ათასი ლარი, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი-177.2 ათასი ლარი; საოფისე ინვენტარი, კომპიუტერული აქსესუარები, კატრიჯები და მათი დატუმბვა-733.5 ათასი ლარი; მიმდინარე რემონტის ხარჯები-159.7 ათასი ლარი.

4. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება (გაგრძელება)

4.4 ოფისის ხარჯები (გაგრძელება)

საქართველოს პროკურატურა - სულ გაწეულია 737.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი: დანადგარებისა და გაყვანილობების მიმდინარე შეკეთებაზე-62.1 ათასი, კომუნალურ მომსახურებაზე–567.5 ათასი, კავშირგაბმულობაზე - 92.3 ათასი, სხვა დანარჩენი ოფისის ხარჯი-15.3 ათასი ლარი.

სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი - ანაზღაურებულია 389.1 ათასი ლარი. მათ შორის: საკანცელარიო საქონელი - 46.4 ათასი ლარი, საოფისე ტექნიკის და ინვენტარის შეძენა - 63.3 ათასი, სატელეფონო და ინტერნეტის მომსახურება - 40.5 ათასი, კომუნალური ხარჯი – 156.5 ათასი, სამეურნეო საქონელი - 33.8 ათასი, კომპიუტერული ტექნიკის შეძენა-9.8 ათასი, საოფისე ტექნიკისა და მოწყობილობების შეკეთება და შენობის მიმდინარე რემონტი-10.1 ათასი, საფოსტო მომსახურება-11.5 ათასი, სხვა დანაჩენი ოფისის ხარჯი – 17.2 ათასი ლარი.

სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტო - ანაზღაურებულია 44.4 ათასი ლარი: საკანცელარიო საქონელი-6.9 ათასი, საოფისე ტექნიკა - 12.9 ათასი, სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურება-5.6 ათასი, საოფისე ავეჯი- 6.6 ათასი, სხვადასხვა- 12.4 ათასი ლარი.

4.5 ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

სამინისტროს ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებმა 2010 წელს შეადგინა 1,124.1 ათასი ლარი. მათ შორის, ძირითადი ხარჯი, 930.3 ათასი ლარი გაწეულია სამინისტროს აპარატის მიერ.

სამიმისტროს აპარატის საწვავის ხარჯმა შეადგინა 550.6 ათასი ლარი, ხოლო ავტოტექმომსახურების ხარჯებმა 378.8 ათასი ლარი. საწვავის ნაშთი წლის დასაწყისში შეადგენდა 537.1 ათას ლარს და წლის ბოლოს 215.2 ათას ლარს.

4.6 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

აპარატი - 2010 წელს შეადგენდა 11,465.3 ათას ლარს. მათ შორის: სათარჯიმნო მომსახურება-84.8 ათასი, ინფორმაციებისა და განცხადებების გამოქვეყნების, რეკლამის, საზოგადოებრივი აზრის კვლევის, კადრების გადამზადების ხარჯები – 136.3 ათასი ლარი, საჩუქრების შეძენა-12.7 ათასი, საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფისა და მისი ინტერესების დაცვის მიზნით შესყიდული საადვოკატო მომსახურება - 11,166.4 ათასი ლარი, სტაჟირება საზღვარგარეთ-15.0 ათასი, მედიატორინგი (შპს „პრაიმ თაიმი") – 6.3 ათასი ლარი, სატრანსპორტო საშუალებების ტექდათვალიერება 7.9 ათასი, ლიცენზიის განახლება-20.3 ათასი, დიზაინერული მომსახურება და დოკუმენტების აკინძვა- 10.9 ათასი, ინვენტარის გადაზიდვა-4.7 ათასი ლარი.

4. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება (გაგრძელება)

4.7 სხვა ხარჯები

აპარატი - გაწეულია 145.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი: ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით - 101.8 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი-6.9 ათასი, ავტომანქანის დაზღვევის ხარჯი-34.5 ათასი და მატერიალური წახალისება-2.0 ათასი ლარი.

პროკურატურა - სულ ანაზღაურებულია 539.9 ათასი ლარი: დაზღვევის ხარჯი-520.1 ათასი და დასუფთავების მოსაკრებელი-19.8 ათასი ლარი.

სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი - სულ გაწეულია 10.9 ათასი ლარის ხარჯი: უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემული შენობის სავალდებულო დაზღვევის ხარჯი - 7.9 ათასი, სატრანსპორტო საშუალების საზღვევის ხარჯი 2.2 ათასი და დასუფთავების მოსაკრებელი 0.8 ათასი ლარი.

4.8 არაფინანსური აქტივების ზრდა

აპარატი - გაწეულია 11.776,8 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის: ავტომანქანების შეძენა-268.9 ათასი ლარი, კომპიუტერული ტექნიკა-709.0 ათასი, საოფისე ტექნიკა-826.7ათასი, საოფისე ავეჯი და ინვენტარი-1,243.7 ათასი ლარი.
ასევე, აუდიტის პერიოდში სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოებზე გაწეულია 8,628.5 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის არის 200.0 ათასი ლარის შენობის გარე ტერიტორიის ქვაფენილით მოწყობის სამუშაოები, რომელიც უნდა ასახულიყო „სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივების" ანგარიშზე.

პროკურატურა - შეძენილია 10.0 ათასი ლარის სხვა მანქანა-დანადგარები (აჭარის ოლქი).

სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტო - სულ გაწეულია 1,374.7 ათასი ლარის ხარჯი: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის გრანტით-308.8 ათასი ლარის სერვერები. საბიუჯეტო სახსრებიდან შეძენილია: 8.6 ათასი ლარის 2 კომპიუტერი, სავარძელი-0.9 ათასი ლარის, საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული ბლანკის პერსონალიზაციისათვის საჭირო ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის და თანმდევი მომსახურების შესყიდვისთვის წინასწარ გადახდილია 1,056.4 ათასი ლარი. აღნიშნული უკავშირდება სამინისტროს ერთერთ პრიორიტეტს-ფუნქციონირებადი სამოქალაქო რეესრის შექმნას.
საქართველოს მთავრობის 8.12.2010 წ №1576 განკარგულებით, სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგეტოს დაევალა საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის ბლანკის, ბინადრობის (დროებითი და მუდმივი) ელექტრონული მოწმობის ბლანკის, ელექტრონული ბლანკის პერსონალიზაციისათვის საჭირო ტექნიკის, თანმდევი მომსახურების და

4. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება (გაგრძელება)

4.8 არაფინანსური აქტივების ზრდა (გაგრძელება)

პროგრამული უზრუნველყოფის სახელმწიფო შესყიდვა განეხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2010 წლის 14 დეკემბერს გაფორმდა მრავალწლიანი ხელშეკრულება №01-03 სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და შპს „Muelhbauer ID Services GmbH"-ს შორის, საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის ბლანკის, ბინადრობის (დროებითი და მუდმივი) ელექტრონული მოწმობის ბლანკის, ელექტრონული ბლანკის პერსონალიზაციისათვის საჭირო ტექნიკის, თანმდევი მომსახურების და პროგრამული უზრუნველყოფის მოწოდებაზე, თანხით 15,815,595.51 ევრო. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2018 წლის 1 აპრილამდე. 2010 წლის დეკემბერში ავანსად გადახდილია 457,478.16 ევრო (1,056.4 ათასი ლარი);

სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი - გაწეულია 680.4 ათასი ლარის საკასო ხარჯი: - ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობაზე-284.2 ათასი, საოფისე ავეჯის შესყიდვაზე-9.5 ათასი, მეტალოპლასტმასის ფანჯრების შეძენაზე-46.5 ათასი, საოფისე ტექნიკის შეძენაზე-3.1 ათასი, კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვზე 43.6 ათასი, კონდენციონერების შესყიდვაზე 49.7 ათასი, პროექტების შესყიდვაზე 19,0 ათასი და სტელაჟებისთვის- 224.8 ათასი ლარი.

სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიურო - სულ გაწეულია 103.1 ათასი ლარის საკასო ხარჯი: არასაცხოვრებელი შენობის რემონტისათვის (ბათუმში) 17.5 ათასი, არქივისა და ღია ფარდულის მოწყობისათვის (თბილისში) 18.6 ათასი, 28 პერსონალური კომპიუტერი-20.3 ათასი, 23 ცალი სტელაჟი-22.0 ათასი, 42 ცალი კომბაინის შესყიდვისთვის-24.7 ათასი ლარი.

სსიპ-საკანონმდებლო მაცნე - გაწეულია 76.8 ათასი ლარის საკასო ხარჯი. შესყიდულია პროგარამა (ელექტრონული გამოქვეყნებისთვის).

სსიპ-იუსტიციის სასწავლო ცენტრი - სულ გაწეულია 310.3 ათასი ლარის ხარჯი: საბიუჯეტო სახსრებიდან-ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური რემონტისათვის ანაზღაურებულია 257.8 ათასი ლარი. საგრანტო თანხებიდან ანაზღაურებულია 52.5 ათასი ლარის კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა.

სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტო - ანაზღაურებულია 787.9 ათასი ლარი. მათ შორის: 741.6 ათასი ლარით დაფინანსება განაპირობა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ნოემბრის №1406 განკარგულების საფუძველზე მონაცემთა გაცვლის ინფრაქსტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებული მომსახურების და საქონლის შესყიდვის აუცილებლობამ. 38.0 ათასი ლარით შეძენილია კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები, 8.3 ათასი ლარით დაფინანსებულია ოპერატიული მეხსიერების და ვებგვერდის ღირებულებები.

4. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება (გაგრძელება)

4.9 ვალდებულებების კლება

აპარატი - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით 2009 წელს წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად გაწეულია 36.5 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

5. საბალანსო ანგარიშგება

5.1 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ აქტივებში ასახულია, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სამინისტროს ცენტრალური აპარატის (აკრედიტივი) საბანკო ანარიშებზე არსებულ ნაშთი (საწყისი ნაშთი-69,8350 ათასი, წლის ბოლოს-140,215.6 ათასი), ასევე ხაზინის ანგარიშებზე რიცხული თანხები (საწყისი ნაშთი-483.4 ათასი, წლის ბოლოს 698.9 ათასი). მათ შორის 117,733.4 ათასი ლარი ირიცხება „დეპოზიტები ბანკში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში" ანგარიშებზე, რომელიც წარმოადგენს სამინისტროს აპარატის აკრედიტივის უზრუნველყოფისათვის დეპონირებულ 3,228.9 ათას ლარს და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშებზე რიცხულ 114,504.4 ათას ლარს.

5.2 დებიტორული დავალიანება

აუდიტის პერიოდში დებიტორული დავალიანება გაზრდილია 2,491.9 ათასი ლარით და 2010 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 11,590.7 ათასი ლარი. მთლიანი დებიტორული დავალიანების თითქმის 100% ირიცხება სსიპ-ებზე და შეადგენს 11,266.7 ათას ლარს. 2,621.0 ათასი ლარის დავალიანების წარმოშობა განაპირობა სხვადასხვა მომწოდებლებზე საბიუჯეტო სახსრებით წინასწარ გადახდებმა, რომელთა დამოწმების ვადები 2011 წლის 1 იანვრისათვის არ იყო დამდგარი (მათ შორის: აპარატზე-284.4 ათასი, სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოზე-1,075.0 ათასი, სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოზე-741.6 ათასი, სსიპ ეროვნულ არქივზე-275.4 ათასი, სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრზე-244.6 ათასი ლარი). ხოლო რაც შეეხება სსიპ-ებზე რიცხულ დანარჩენ დავალიანებას, იგი წარმოადგენს ძირითადად არასაბიუჯეტო დავალანებებს.

5.3 არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება/გადაცემა განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. რაც შეეხება სამინისტროს აპარატის „არასაცხოვრებელი შენობების" ანგარიშზე რიცხულ 3,332.8 ათას ლარს, წარმოადგენს უსასყიდლოდ გადმოცემულ სამუშაოების ღირებულებას, საიდანაც 183.5 ათასი ლარი ორგანიზაციის ტერიტორიაზე არსებული გამწვანებისა და დეკორატიული ნარგავების, ხოლო 374.3 ათასი ლარი - მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზის და გარე განათების სამუშაოების ღირებულებაა, რომელთა ასახვა უნდა მომხდარიყო შესაბამისად „სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივების" და „სხვა ნაგებობების" ანგარიშზე. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში

5. საბალანსო ანგარიშგება (გაგრძელება)

5.3 არაფინანსური აქტივები (გაგრძელება)

„არასაცხოვრებელი შენობების" საბალანსო ღირებულება გაზრდილია 826 ათასი ლარით (2010 წელს შესყიდული მომსახურებისა და სამუშაოების გათვალისწინებით 183.5+374.3+200.0=757.8.0 ათასი ლარი). არაფინანსური აქტივების მოძრაობასთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი N1.

5.4 ფინანსური ვალდებულებები

ფინანსურ ვალდებულებებში საწყის ნაშთად რიცხული 456.4 ათასი ლარი წარმოადგენს პროკურატურის სადეპოზიტო ანგარიშზე არსებულ თანხას (სადეპოზიტო ანგარიშებზე გირაოს სახით შეტანილი), ხოლო წლის ბოლოს ნაშთი - სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ან წინასწარი გამოძიების ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სხვადასხვა ბანკებში სადეპოზიტო ანგარიშებზე შეტანილ გირაოსა და საპროცესო თანხებს და ასევე სატენდერო მოსაკრებლებს.

5.5 კრედიტორული დავალიანება

წარმოდგენილი დოკუმენტაციით აუდიტის პერიოდში კრედიტორული დავალიანება გაზრდილია 148.8 ათასი ლარით და 2010 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 4,562.0 ათასი ლარი. მთლიანი კრედიტორული დავალიანების 64.7% მოდის სსიპ-ებზე, 32.8% ყოფილი მიწის მართვის დეპარტამენტზე და შესაბამისად შეადგენს 2,923.1 ათას(აქედან 1,980.4 ათასი ლარი გადასახდელი მოგების და დღგ-ს თანხებია) და 1,496.6 ათას ლარს, რომელზეც 2009 წლის დასაწყისში ბიუჯეტის კანონით „ვალდებულების კლების" მუხლით გამოყოფილი ასიგნება შეადგენდა 300.0 ათას ლარს, რაც წლის ბოლოს შემცირებული იქნა 50.0 ათას ლარამდე. 2010 წელს კი საინკასო დავალების საფუძველზე ანაზღაურებულია მხოლოდ 27.2 ათასი ლარის სახელფასო დავალიანება.

დადგინდა, რომ 1,954.2 ათასი ლარის (მთლიანი დავალიანების 43%) კრედიტორული დავალიანება მომდინარეობს 1996-2006 წლებიდან, მათ შორის: აპარატზე - 82.3 ათასი, ყოფილი მიწის მართვის დეპარტამენტზე - 1,496.6 ათასი, სსიპ ეროვნული არქივზე-321,0 ათასი და პროკურატურაზე - 53.6 ათასი ლარი.

ცხრილი N1 - არაფინანსური აქტივების მოძრაობა

(ათას ლარებში)

	შენობა ნაგებობები	სატრანსპ. საშუალებები	სხვა მანქანა - დანადგარები და ინვენტარი	არამატერ. ძირითადი აქტივები	დაუმთავ. მშენებლ.	სხვა ძირ აქტივები	მიწა	არაწარმ. არამატ. აქტივები	მატერ. მარაგებიები	სულ
ნაშთი 31/12/2009	**30,332**	**2,839**	**18,043**	**2,914**	**8,255**	**523**	**6,559**	**231**	**4,445**	**74,141**
შესყიდვა	1,142	397	7,214	1,851	16,598	40	-	72	11,049	38,363
უსასყიდლოდ	6,780	2,767	1,488	20	-	-	19,601	-	1,220	31,876
სხვა შემოსავლებით	1	221	-	9	-	-	-	-	-	231
სხვა ეკ. ნაკადები	18,430	795	9	-	11	-	129	-	876	20,251
საკუთარი სახსრებით	-	-	-	-	-	-	-	-	646	646
სულ მიღება:										**91,366**
უსასყიდლოდ	(2,906)	(1,746)	(586)	-	-	(13)	(314)	-	(1,187)	(6,751)
გაყიდვით	-	-	(30)	-	(5)	-	-	-	(242)	(277)
სხვა ხარჯებით	-	(8)	(10)	-	-	-	-	-	(4)	(22)
სხვა ეკ. ნაკადები	(175)	(556)	(930)	-	(17,701)	-	-	-	-	(19,361)
ძირ.კაპ-ის მოხმარება	(609)	(687)	(5,023)	(682)	-	(74)	-	-	-	(7,075)
საქ.და მომსახ-ბით	-	-	-	-	-	-	-	(33)	(7,980)	(8,013)
სულ გასვლა:										**(41,499)**
ნაშთი 31/12/2010	**52,996**	**4,023**	**20,175**	**4,111**	**7,158**	**476**	**25,976**	**269**	**8,824**	**124,008**

5. საბალანსო ანგარიშგება (გაგრძელება)

5.6 საცნობარო მუხლები

საცნობარო მუხლის ანგარიშები საბალანსო ერთეულების მიერ არ არის სრულად შევსებული, არც ერთი ერთეულის მიერ არ არის ასახული ამორტიზირებული ძირითადი აქტივები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოწერამდე. ასევე არ არის აღრიცხული საბალანსო ერთეულების მიერ ექსპლოატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, გარდა აპარატის, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსი. [1]

უნდა აღინიშნოს, რომ აქტივებისა და ვალდებულებების, საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტიური ნაშთების და ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალობის დასადგენად, 2010 წლის ბოლოს სამინისტროს აპარატში არ ჩატარებულა აქტივებისა და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაცია - რათა არსებობდეს გარანტია აქტივების დაცვასა და აღრიცხული აქტივების ფაქტობრივად არსებობაზე.[2]

6. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

6.1 წმინდა ღირებულება

ბალანსსა და წმინდა ღირებულების შესახებ ანგარიშში საწყის ნაშთებს შორის სხვაობა დაფიქსირდა 59,047.2 ათასი ლარის ოდენობით, რაც გამოწვეულია სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიუროს ზემოაღნიშნული სადეპოზიტო თანხების ფინანსური ვალდებულებების ანგარიშზე დაკორექტირებით.

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა და ფაქტობრივი ხარჯის მდგომარეობა მოცემულია დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში, თუმცა წმინდა ღირებულების ანგარიშში დაფიქსირებულ დაფინანსებაში არ არის ასახული „ვალდებულების კლების" მუხლით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად დაფინანსებული 36.5 ათასი ლარი.

გრანტის სახით ასახული 663.9 ათასი ლარი წარმოადგენს წლის ბოლოს სსიპ-სამოქალაქო რეესტრისა და სსიპ-იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ საგრანტო დაფინანსებიდან აუთვისებელ ნაშთს.

---

[1] ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის ინსტრუქციის 28-ე მუხლის მე-10 პუნქტის, 59-ე მუხლის მე-6 პუნქტის და 71-ე მუხლის მე-7 და მე-11 პუნქტის მოთხოვნები.

[2] აღნიშნულით არ იქნა დაცული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ" დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 და მე3-პუნქტის მოთხოვნები. ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესების" მოთხოვნები.

6. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება (გაგრძელება)

6.1 წმინდა ღირებულება (გაგრძელება)

შემოსავლებში ასახულია ნებაყოფლობითი ტრანსფერის სახით, სსიპ - საჯარო რეესტრის სააგენტოს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ დაფინანსებული პროექტის "საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციული განვითარება და მომსახურების გაუმჯობესება" ფარგლებში 581.3 ათასი ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივი, ხოლო 210.9 ათასი ლარი წარმოადგენს ფიზიკური პირების მიერ ჩუქების ხელშეკრულებით სამინისტროს აპარატზე გადმოცემულ ავტოსატრანსპორტო საშუალებების (3 ერთეული) ღირებულებას.

2010 წლის წლიური ანგარიშგების მიხედვით პროკურატურის მიერ უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი აქტივების ღირებულება შეადგენს 3,890.1 ათას ლარს, არაწარმოებული აქტივისა და ჩუქების ხელშეკრულებით გადმოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულების ჩათვლით, ნაცვლად 7.5 ათასი ლარის ღირებულების მიწის N6300 (გრანტების, როგორც სხვა დონის ერთეულიდან (რუსთავის მერია) მიღება) და 91.6 ათასი ლარის N6400 (ნებაყოფლობითი ტრანსფერი-ფიზიკური პირის მიერ ჩუქება) ანგარიშზე ასახვისა. [3]

არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება/გადაცემა ასახულია კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში.

წმინდა ღირებულების ზრდა/შემცირება - სხვა ეკონომიკური ნაკადები (მოცულობითი ცვლილებები) - 20,315.8/19,388.8 ათასი ლარი ასახავს აქტივების რაოდენობრივ და აქტივების კლასიფიკაციაში ცვლილებების შედეგს, რომელიც ოპერაციების შედეგს არ წარმოადგენს.

წმინდა ღირებულების ზრდა/შემცირება - სხვა ეკონომიკური ნაკადები (მოგება/ზარალი ფლობიდან) - 204.2/47.4 ათასი ლარი წარმოადგენს:

- სამინისტროს აპარატზე უცხოურ ვალუტაში გახსნილ აკრედიტივებზე რიცხული თანხების კურსთა შორის სხვაობით გამოწვეულ ცვლილებას 185.6 ათასი ლარის ოდენობით;
- სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ დეპოზიტებზე არსებული თანხების კურსთა შორის სხვაობით გამოწვეულ ცვლილებას 18.6 ათასი ლარით.

ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები - შპს სამშენებლო კომპანია „აკსმშენის" მიერ ბიუჯეტში დაბრუნებული 473.8 ათასი ლარი.

[3] არ იქნა დაცული ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

6.2 გაუნაწილებელი მოგება

სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების მიერ საკასო ხარჯის გაწევის წყაროს, საბიუჯეტო დაფინანსების გარდა, წარმოადგენდა არასაბიუჯეტო შემოსავლებიც. სულ 2010 წელს საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 81,170.6 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 45,369.5 ათასი ლარი. შედეგად, წლის დასაწყიში არსებული ნაშთის გათვალისწინებით 2011 წლის 1 იანვრისათვის სსიპ-ების საბანკო ანგარიშებზე ნაშთი შეადგენდა 22,482.3 ათას ლარს.

7. სხვა განმარტებები

7.1 - ფინანსური ანგარიშგების მომხადება

სამინისტროს მიერ ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება (ცალკეული საბალანსო ერთეულების ფინანსური ანგარიშგების (თანდართული ფორმებით) კონსოლიდაცია) წარმოებს ექსელის მეშვეობით, რაც აუდიტს (კონტროლის) დაქვემდებარებული მიზნებისათვის არამობილურია და ობიექტის საქმიანობასაც არამობილურს ხდის.
იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საბალანსო ერთეულების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები ზოგიერთ შემთხვევაში შედგენილია არასრულყოფილად[4].

აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში აქტის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში.

[4] საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ" დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-5 პუნქტების მოთხოვნები, კერძოდ ბუღალტრული ანგარიშგების სისრულისა და საიმედოობის პრინციპები, რომლის მიხედვითაც ანგარიშგება უნდა გამომდინარეობდეს საანგარიშო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ფაქტიდან და ასახავდეს რეალურ სიტუაციას.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები

გოგი თაბუაშვილი აუდიტორი ჯგუფის ხელმძღვანელი	ხელმოწერა	24.10.11 თარიღი
მანანა დავითური აუდიტორი	ხელმოწერა	24.10.11 თარიღი
სოსო ჩიქობავა აუდიტორი	ხელმოწერა	24.10.11 თარიღი
სალომე მანჯგალაძე აუდიტორ/ასისტენტი	ხელმოწერა	24.10.11 თარიღი
მეგი კოდოშვილი აუდიტორ/ასისტენტი	ხელმოწერა	24.10.11 თარიღი